

გირავნობის ხელშეკრულება

გაფორმებული შემდეგ მხარეებს შორის:

[●]

როგორც მესაკუთრეები

სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“

როგორც ემიტენტი

და

[●]

როგორც მოგირავნეები

[●] 2025

გირავნობის ხელშეკრულება

წინამდებარე გირავნობის ხელშეკრულება დადებულია 2025 წლის [●] შემდეგ მხარეთა მიერ და შორის:

- (1) [●], საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სათანადო წესით რეგისტრირებული [●]საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომერი: [●] (შემდგომში „მესაკუთრე 1“), წარმოდგენილი მისი დირექტორის [●] (პირადი ნომერი: [●]) მიერ;
- (2) [●], საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სათანადო წესით რეგისტრირებული [●]პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომერი: [●] (შემდგომში „მესაკუთრე 2“), წარმოდგენილი მისი დირექტორის [●] (პირადი ნომერი: [●]) მიერ;
- (3) [●], საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სათანადო წესით რეგისტრირებული [●]პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომერი: [●] (შემდგომში „მესაკუთრე 3“), წარმოდგენილი მისი დირექტორის [●] (პირადი ნომერი: [●]) მიერ;

(მესაკუთრე 1, მესაკუთრე 2, მესაკუთრე 3 შემდგომში ერთობლივად მოიხსენიებიან, როგორც „მესაკუთრეები“ ან/და „დამგირავებლები“ და ინდივიდუალურად, როგორც „მესაკუთრე“ ან/და „დამგირავებელი“);

- (4) სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სათანადო წესით რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომერი: 405746634 (შემდგომში „ემიტენტი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის [●] (პირადი ნომერი: [●]) მიერ;
- (5) [●], [●] კანონმდებლობის შესაბამისად სათანადო წესით რეგისტრირებული [●] საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომერი: [●] (შემდგომში „მოგირავნე 1“), წარმოდგენილი მისი დირექტორის [●] (პირადი ნომერი: [●]) მიერ;
- (6) [●], [●] კანონმდებლობის შესაბამისად სათანადო წესით რეგისტრირებული [●] საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომერი: [●] (შემდგომში „მოგირავნე 2“), წარმოდგენილი მისი დირექტორის [●] (პირადი ნომერი: [●]) მიერ;
- (7) [●], [●] კანონმდებლობის შესაბამისად სათანადო წესით რეგისტრირებული [●] საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომერი: [●] (შემდგომში „მოგირავნე 3“), წარმოდგენილი მისი დირექტორის [●] (პირადი ნომერი: [●]) მიერ;
- (8) [●], [●] კანონმდებლობის შესაბამისად სათანადო წესით რეგისტრირებული [●] საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომერი: [●] (შემდგომში „მოგირავნე 4“), წარმოდგენილი მისი დირექტორის [●] (პირადი ნომერი: [●]) მიერ;

(შემდგომში მოგირავნე 1, მოგირავნე 2, მოგირავნე 3, მოგირავნე 4, ერთობლივად, როგორც „მოგირავნეები“, ან ინდივიდუალურად, როგორც „მოგირავნე“,

ასევე, შემდგომში დამგირავებლები, ემიტენტი და მოგირავნეები ერთობლივად მოიხსენიებიან, როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე, როგორც „მხარე“).

რამდენადაც,

ა. 2025 წლის [●] საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (შემდგომში „სებ“) დაამტკიცა ემიტენტის საბოლოო პროსპექტი (შემდგომში „პროსპექტი“), რომლის პირობების შესაბამისად ემიტენტმა გამოსცა 350,000,000 (სამას ორმოცდაათი მილიონი) ლარის ღირებულების მოგირავნეების მიერ სრულად შეძენილი სოციალური ობლიგაციები (შემდგომში „ობლიგაციები“);

ბ. პროსპექტის პირობების უპირატესობის გათვალისწინებით, ობლიგაციები უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პირველი რიგის გირავნობით, გირავნობას დაქვემდებარებულ აქტივებზე და ემიტენტის ვალდებულებაა უზრუნველყოს შესაბამისი პირველი რიგის გირავნობის ხელშეკრულების სათანადო გაფორმება ფასიანი ქაღალდების გამოშვების და ობლიგაციონერებზე სრულად განთავსების თარიღიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) სამუშაო დღისა;

გ. თითოეული დამგირავებელი არის ემიტენტის შვილობილი კომპანია (პირდაპირ ან არაპირდაპირ) და, შესაბამისად, მათ ემისიის პროსპექტით აიღეს ვალდებულება გირავნობით დატვირთონ გირავნობას დაქვემდებარებული აქტივები უზრუნველყოფილი ვალდებულებების და ხარჯების (როგორც ეს ქვემოთაა განმარტებული) უზრუნველსაყოფად, როგორც ეს გათვალისწინებულია წინამდებარე გირავნობის ხელშეკრულების და ემისიის პროსპექტის პირობებით.

შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. განმარტებანი

პუნქტი 1.01. ტერმინები

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ნებისმიერ ტერმინს, რომელიც განსაზღვრულია პროსპექტში, ექნება პროსპექტში მინიჭებული მნიშვნელობა. ამასთან წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ შემდგომ ტერმინებს, თუ ისინი სხვაგვარად არაა ემისიის პროსპექტში განმარტებული, ექნება მათ გასწვრივ მითითებული მნიშვნელობა:

სააგენტო

იგულისხმება საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საჯარო ორგანო

ნიშნავს ნებისმიერ სახელმწიფო, საერთაშორისო, რეგიონალურ ან ადგილობრივ მთავრობას, ან სამთავრობო, ადმინისტრაციულ, ფისკალურ, სასამართლო, სახელმწიფო ორგანოს, დეპარტამენტს, კომისიას, უწყებას, ტრიბუნალს, სააგენტოს ან დაწესებულებას, ან ცენტრალურ ბანკს (ან ნებისმიერ პირს, იქნება ეს მთავრობის საკუთრებაში თუ არა და მიუხედავად მისი ფორმისა და დასახელებისა, რომელიც ახორციელებს ცენტრალური ბანკის ფუნქციებს).

ავტორიზაცია

ნიშნავს ნებისმიერ ლიცენზიას, ნებართვას, დამტკიცებას (რომლებიც დამტკიცებულია ნებისმიერი ფორმით), რეგისტრაციას, წარდგენას ან გათავისუფლებას, რომელიც გაცემულია ნებისმიერი საჯარო ორგანოს მიერ ან წარედგინება მას, ასევე ნებისმიერ კორპორატიულ, კრედიტორთა და აქციონერთა/პარტნიორთა დასტურსა თუ თანხმობას.

სამუშაო დღე

გულისხმობს დღეს, როდესაც სააგენტო მუშაობს და ახორციელებს ჩვეულებრივ საქმიანობას.

წესდება

ნიშნავს ნებისმიერი კომპანიის, კორპორაციის, ამხანაგობის, საწარმოს ან სხვა იურიდიული პირის წესდებას, სადამფუძნებლო აქტს, სადამფუძნებლო შეთანხმებას, მემორანდუმს და პარტნიორთა შეთანხმებას, დებულებას ან მსგავს დოკუმენტს.

ქვეყანა

ნიშნავს საქართველოს.

მოხსნის თარიღი

გამოიყენება 6.01(ა) პუნქტში მითითებული მნიშვნელობით.

ძალაში შესვლის თარიღი

ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღს.

აღსრულება

ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას მოგირავნეების ნებისმიერი უფლების ან უფლებამოსილების აღსრულებისათვის, რომელიც მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულების (ან მისი ნებისმიერი პუნქტის, მათ შორის 5.02 პუნქტის) შესაბამისად ქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს გირავნობის (ან მისი ნებისმიერი ნაწილის) აღსრულებას, ან სასამართლოსადმი მიმართვას გადაწყვეტილების მოპოვების მიზნით ან სარჩელის აღძვრას ნებისმიერი მესაკუთრის წინააღმდეგ, რომელიც დაკმაყოფილებული იქნება გირავნობას დაქვემდებარებული აქტივების ხარჯზე (ან მისი ნებისმიერი ნაწილის) ან მისგან გამომდინარე, ან მოიცავს ნებისმიერი დისკრეციით, უპირატესობით ან არჩევანით

სარგებლობას, რომელიც დაკავშირებულია ასეთ უფლებებთან ან უფლებამოსილებებთან.

დეფოლტის შემთხვევა

გულისხმობს პროსპექტით გათვალისწინებულ დეფოლტის შემთხვევას.

ხარჯები

გამოიყენება 3.02(ბ) პუნქტში მოცემული მნიშვნელობით.

დატვირთვა

ნიშნავს ნებისმიერ გირავნობას, გირავნობას, უფლების დათმობას, უზრუნველყოფას, საკუთრების უფლების შენარჩუნებას, უპირატეს უფლებას, სატრასტო გარიგებებს, გაქვითვის უფლებას, შემხვედრ მოთხოვნას ან საბანკო ყადაღას, უზრუნველყოფის ძალის მქონე ნებისმიერი სახის პრივილეგიას ან პრიორიტეტს, ზიანის ანაზღაურების მიმღების ან ბენეფიციარის დანიშვნას, აგრეთვე ნებისმიერ მსგავს შეთანხმებას ნებისმიერი სადაზღვევო პოლისთან დაკავშირებით/შესაბამისად ან ნებისმიერი კრედიტორისთვის სხვა კრედიტორთან მიმართებით უპირატესობის მინიჭებას კანონის საფუძველზე.

არსებითი უარყოფითი გავლენა

ნიშნავს არსებით უარყოფით გავლენას:

ა) მესაკუთრის უნარზე შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისი ნებისმიერი ძირითადი ვალდებულება;

ბ) გირავნობასთან დაკავშირებულ მოგირავნეების ძირითად უფლებებსა და სამართლებრივ საშუალებებზე;

გ) წინამდებარე ხელშეკრულების ან მის საფუძველზე მოგირავნეებისთვის მინიჭებული უფლებების, სამართლებრივი საშუალებების და უპირატესობების კანონიერებაზე, ნამდვილობაზე, აღსრულებადობასა და სავალდებულო ძალაზე, მათ შორის, გირავნობის რიგითობაზე;

	დ) გირავნობას დაქვემდებარებული აქტივების ღირებულებაზე ან მდგომარეობაზე.
გირავნობა	გამოიყენება 3.01 პუნქტში მოცემული მნიშვნელობით.
გირავნობას დაქვემდებარებული აქტივები	გამოიყენება 3.01 პუნქტში მოცემული მნიშვნელობით.
მხარე	ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების მხარეს.
პირი	ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, კორპორაციას, კომპანიას, ამხანაგობას, ფირმას, ნებაყოფლობით გაერთიანებას, ერთობლივ საწარმოს, სატრასტო კომპანიას, არარეგისტრირებულ ორგანიზაციას, საჯარო ორგანოს ან ნებისმიერი სხვა სახის იურიდიულ პირს, რომელიც მოქმედებს ინდივიდუალური, ფიდუციური ან სხვა უფლებამოსილების ფარგლებში.
ამონაგები თანხა	გამოიყენება 5.04(ბ)(ii) პუნქტში მოცემული მნიშვნელობით.
ქონება	გამოიყენება 3.01 პუნქტში მოცემული მნიშვნელობით.
ქონებრივი ღირებულება	გამოიყენება 5.04(ბ)(i) პუნქტში მოცემული მნიშვნელობით.
შეზღუდვების რეესტრი	ნიშნავს სპეციალურ რეესტრს - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გირავნობის/ლიზინგის უფლებათა რეესტრს, რომელსაც აწარმოებს სააგენტო, მათ შორის, ქვეყანაში არსებულ გირავნობებთან დაკავშირებით.
უზრუნველყოფილი ვალდებულებები	გამოიყენება 3.02(ა) პუნქტში მოცემული მნიშვნელობით.
გათავისუფლების თარიღი	გამოიყენება 5.04(ბ)(i) პუნქტში მოცემული მნიშვნელობით.

პუნქტი 1.02 განმარტება

წინამდებარე ხელშეკრულებაში, თუ კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს:

(ა) მითითება კონკრეტულ მუხლზე, პუნქტზე, მხარეზე ან დანართზე განმარტება, როგორც მითითება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამის მუხლზე, პუნქტზე, მხარეზე ან დანართზე;

(ბ) მხოლოდითი რიცხვის აღმნიშვნელი სიტყვები მოიცავს მრავლობითს და პირიქით; და

(გ) წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითება დოკუმენტზე მოიცავს მასში შეტანილ ცვლილებებს, დამატებებს, ჩანაცვლებას და განახლებას, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევით განხორციელებული ცვლილების, დამატების, ჩანაცვლების და განახლებისა.

მუხლი 2. განცხადებები და გარანტიები

პუნქტი 2.01. მესაკუთრეების განცხადებები და გარანტიები

თითოეული მესაკუთრე აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

(ა) **რეგისტრაცია.** მესაკუთრე არის ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია, შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად, ყველა შესაბამის სარეგისტრაციო ორგანოში ნებისმიერ ისეთ იურისდიქციაში, სადაც ის ახორციელებს საქმიანობას ან/და საკუთრების უფლებით ფლობს ქონებას.

(ბ) **კორპორატიული უფლებამოსილება.** მესაკუთრეს გააჩნია კორპორატიული უფლებამოსილება გააფორმოს წინამდებარე ხელშეკრულება და შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

(გ) **სათანადო უფლებამოსილება; აღსრულებადობა; კონფლიქტის არარსებობა.** წინამდებარე ხელშეკრულება სათანადოდ არის ნებადართული და ხელმოწერილი მესაკუთრის მიერ და წარმოადგენს მესაკუთრის ნამდვილ და სამართლებრივად მბოჭავ ვალდებულებას, რომელიც აღსრულებადია მისი პირობების შესაბამისად. ყველა ავტორიზაცია, რაც საჭიროა წინამდებარე ხელშეკრულებისა და მასში გათვალისწინებული გარიგებების გასაფორმებლად და შესასრულებლად სათანადოდ არის მოპოვებული მესაკუთრის მიერ და არის სრულ ძალაში. მესაკუთრის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების დადება და მისი შესრულება:

(i) არ გამოიწვევს მესაკუთრის წესდების ან კანონის ნებისმიერი ისეთი დებულების დარღვევას, რომელიც ვრცელდება მესაკუთრეზე;

(ii) არ საჭიროებს რაიმე თანხმობას (ან თუ საჭიროებს, სათანადოდ იქნა მოპოვებული) ან არ გამოიწვევს რაიმე დატვირთვის წარმოშობას ნებისმიერი ისეთი ხელშეკრულებიდან ან დოკუმენტიდან გამომდინარე, რომლის მხარეც არის მესაკუთრე ან რომელიც ვრცელდება მესაკუთრეზე ან/და მის ნებისმიერ ქონებაზე, ასევე არ გამოიწვევს ნებისმიერი ასეთი ხელშეკრულების ან დოკუმენტის დარღვევას ან არ მოვა წინააღმდეგობაში მათთან;

(iii) არ ჩაითვლება დარღვევად ან ისეთ შემთხვევად, რომელიც შეტყობინების მიწოდებით, დროის გასვლით ან გადაწყვეტილების მიღებით (ან მათი ნებისმიერი კომბინაციისას) ჩაითვლება დარღვევად ნებისმიერი ხელშეკრულების ან დოკუმენტის შესაბამისად.

(დ) **ავტორიზაციები.** წინამდებარე ხელშეკრულების ნამდვილობა და აღსრულებადობა არ არის დამოკიდებული და მისი სათანადო გაფორმება, მიწოდება ან შესრულება მესაკუთრის მიერ არ საჭიროებს საჯარო ორგანოს რაიმე ავტორიზაციას, ხოლო ასეთი ავტორიზაციების საჭიროების შემთხვევაში, ისინი სათანადოდ არის მოპოვებული.

(ე) **ქონება.** მესაკუთრეები არიან ქონების ერთადერთი კანონიერი და ბენეფიციარი მესაკუთრეები. მესაკუთრეებმა ქონება შეიძინეს შესაბამისი კანონმდებლობის სრული დაცვით. ქონება ნივთობრივად უნაკლოა და თავისუფალია ნებისმიერი შეზღუდვის, ვალდებულების ან დათქმისგან ან მესამე პირების ნებისმიერი სხვა უფლებისაგან, რამაც გონივრული შეფასებით შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს მასზე. გირავნობას დაქვემდებარებული აქტივები არ ექვემდებარება სხვა დატვირთვას, გარდა წინამდებარე გირავნობისა გირავნობის რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ და მესაკუთრეები არ ექვემდებარებიან რაიმე სახის საგადასახადო მოთხოვნას ან დავას მიუხედავად იმისა, აღნიშნული მოთხოვნები თუ დავა წარმოშობილი იქნა წინამდებარე ხელშეკრულების, ნებისმიერი შეთანხმების ან კანონის თარიღამდე თუ მას შემდეგ, როგორც პირობითის, ისე უპირობოს შემთხვევაში, გარდა წინამდებარე გირავნობისა, რომლის შესაბამისადაც შეიძლება წარმოიშვას რაიმე სახის დატვირთვა გირავნობას დაქვემდებარებულ აქტივებზე.

(ვ) **უზრუნველყოფა.** ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისა და გირავნობის შეზღუდვების რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ, გირავნობა იქნება ნამდვილი და ძალაში შევა როგორც პირველი რიგის გირავნობის უფლება გირავნობას დაქვემდებარებულ აქტივებზე, რომელიც უზრუნველყოფს უზრუნველყოფილ ვალდებულებებს და ხარჯებს და რომელსაც დროის ნებისმიერ მონაკვეთში ექნება უპირატესი რიგითობა გირავნობას დაქვემდებარებულ აქტივებზე წარმოშობილ ნებისმიერ სხვა დატვირთვასთან შედარებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გირავნობა არ ექვემდებარება გაუქმებას ნებისმიერი მესაკუთრის ლიკვიდაციისას, გაკოტრებისას, რეაბილიტაციისას ან მესაკუთრესთან დაკავშირებით სხვა გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყებისას.

პუნქტი. 2.02. მესაკუთრეთა აღიარებები

(ა) მესაკუთრეები აღიარებენ, რომ 2.01 პუნქტში მოცემული განცხადებები და გარანტიები გაცემული იყო მათ მიერ იმ მიზნით, რომ მოგირავნეებს დაედოთ წინამდებარე ხელშეკრულება და რომ მოგირავნეები დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას თითოეული ასეთი განცხადებისა და გარანტიის საფუძველზე და თითოეულ ასეთ განცხადებასა და გარანტიაზე სრულიად დაყრდნობით. დამგირავნელები გარანტიას იძლევიან, რომ მათთვის არ არის ცნობილი რაიმე დამატებითი ფაქტის ან საკითხის თაობაზე, რომლის გაუთვალისწინებლობაც ნებისმიერ ასეთ განცხადებას ან გარანტიას არასწორს ან შეცდომაში შემყვანს გახდიდა რაიმე თვალსაზრისით.

(ბ) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი განცხადება და გარანტია გამეორებულად ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულების მთლიანი ვადის განმავლობაში, გარდა იმ

შემთხვევებისა, როდესაც სხვა რამ არის გათვალისწინებული მხარეთა წერილობითი შეთანხმებით ან მოგირავნების წერილობითი თანხმობით.

მუხლი 3. გირავნობა

პუნქტი 3.01. გირავნობა

(ა) მესაკუთრეები შეუქცევადად და უპირობოდ ანიჭებენ თითოეულ მოგირავნეს პირველი რიგის უზრუნველყოფის ინტერესს და გირავნობის უფლებას (შემდგომში „გირავნობა“) იმ მოძრავ ქონებაზე (მოძრავი ქონება), რომელიც დეტალურად აღწერილია „ა“ დანართში (შემდგომში „ქონება“) და ყველა იმ ნივთზე, რომელიც განკუთვნილია ქონების სამსახურისთვის და მასთან დაკავშირებულია საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია ქონებასთან და მის ნაწილთან, რომელიც დაკავშირებულია ქონებასთან, როგორც მთავარ ნივთთან, ან/და ქონების ნაწილის გაერთიანების შემდეგ, რომელიც წარმოიქმნება ასეთი აქტივების გაყოფის შედეგად (შემდგომში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „გირავნობას დაქვემდებარებული აქტივები“). (ბ) პროსპექტით გათვალისწინებული მოგირავნების სხვა უფლებების შეზღუდვის გარეშე, რომელიც ეხება უზრუნველყოფილი ვალდებულებების სრულად დაკმაყოფილებას, „უზრუნველყოფილი ვალდებულებების“ დაკმაყოფილება მოხდება ქონების მემშვეობით, იმ მაქსიმალური ოდენობით, რაც შეადგენს „ობლიგაციების“ ძირი თანხის, დარიცხული მაგრამ გადაუხდელი კუპონის და ერთი წლის კუპონის ჯამს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში არაუმეტეს 420,000,000 (ოთხას ოცი მილიონი) ლარის ოდენობით.

პუნქტი 3.02. უზრუნველყოფილი ვალდებულებები

(ა) გირავნობას დაქვემდებარებული აქტივები უზრუნველყოფს მოგირავნების სასარგებლოდ ემიტენტის ნებისმიერ და ყველა ვალდებულებას, რაც უკავშირდება ობლიგაციებს (მათ შორის გადავადებული განთავსების შედეგად განთავსებულ ობლიგაციებს) და რომელიც გათვალისწინებულია ან გამომდინარეობს პროსპექტიდან, მიუხედავად იმისა, ასეთი ვალდებულებები არის პირდაპირი თუ არაპირდაპირი, ძირითადი თუ პირობითი, რომელიც მას გააჩნია ან წარმოეშვა ძირითადი ვალდებულების, პროცენტის, მოსაკრებლის, ხარჯების, გადასახადების, ბაჟის ან სხვა გადასახადების, ზიანის ანაზღაურების, დანაკარგების, ხარჯების ან დანახარჯების სახით ან სხვაგვარად, რაც შეზღუდვის გარეშე, მოიცავს ემიტენტის ვალდებულებას გადაიხადოს ობლიგაციების ძირი თანხა, მასზე დაგროვებული ნებისმიერი პროცენტი, დარღვევასთან დაკავშირებით დარიცხული ნებისმიერი პროცენტი, ნებისმიერი საზღაური, საკომისიოები, ზიანის ანაზღაურება, ხარჯი, დანახარჯი და ნებისმიერი სხვა თანხა, რაც ექვემდებარება მოგირავნებისთვის გადახდას პროსპექტის საფუძველზე (შემდგომში „უზრუნველყოფილი ვალდებულებები“).

(ბ) ზემოთ მითითებული 3.02(ა) პუნქტით გათვალისწინებული მოგირავნების უფლებების შეზღუდვის გარეშე, გირავნობას დაქვემდებარებული აქტივები აგრეთვე უზრუნველყოფს ნებისმიერ და ყველა ხარჯსა და დანახარჯს, რაც შესაძლოა გაწეული იყოს მოგირავნების მიერ გირავნობას დაქვემდებარებული აქტივების რეალიზაციასთან ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოგირავნების უფლებების შენარჩუნებასთან, განხორციელებასთან ან/და აღსრულებასთან დაკავშირებით (შემდგომში „ხარჯები“).

მუხლი 4. მესაკუთრის ვალდებულებები

პუნქტი 4.01. გირავნობის წარმოშობა

(ა) წინამდებარე ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით და გირავნობა უნდა დარეგისტრირდეს შეზღუდვების რეესტრში.

(ბ) მესაკუთრეები ვალდებული არიან ხელი მოაწერონ, გააფორმონ, ნოტარიულად დაამოწმონ, მიაწოდონ და წარადგინონ ნებისმიერი და ყველა დოკუმენტი, მათ შორის, შეზღუდვების რეესტრში წარსადგენი განცხადება გირავნობის რეგისტრაციის თაობაზე და განახორციელოს ნებისმიერი და ყველა დამატებითი ქმედება, რაც შესაძლოა საჭირო იყოს ქვეყნის კანონმდებლობის ან მოგირავნეთა მოთხოვნის (გონივრული მოქმედებისას) შესაბამისად გირავნობა წარმოშობისა და რეგისტრაციის მიზნებისათვის.

(გ) მესაკუთრე ვალდებულია თავის საკუთრებაში არსებულ გირავნობას დაქვემდებარებულ აქტივებზე დაარეგისტრიროს გირავნობა და წარუდგინოს მოგირავნეებს ხელშეკრულების შეზღუდვების რეესტრში რეგისტრაციის გადაწყვეტილება/დასტური რომელიც დაადასტურებს გირავნობის წარმოშობასა და რეგისტრაციას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ძალაში შესვლის თარიღიდან შემდგომადგვარად მოკლე ვადაში, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ძალაში შესვლის თარიღიდან **20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.**

(დ) ნებისმიერი და ყველა ხარჯი, რაც უკავშირდება წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებას, სანოტარო წესით დამოწმებას და ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შეზღუდვების რეესტრში გირავნობის რეგისტრაციას, ეკისრება ემიტენტს.

პუნქტი 4.02. დაზღვევა

(ა) გირავნობას დაქვემდებარებული აქტივები დაზღვეულია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების მომენტში და მესაკუთრე ვალდებულია, შეინარჩუნოს დაზღვევა ფინანსურად ჯანსაღი და კარგი რეპუტაციის მქონე მზღვეველ(ებ)თან, მოგირავნეებისთვის მისაღები პირობებით, მათ შორის, ხანძრის, სტიქიური უბედურებების, მიწისძვრის, ტერორიზმის, საბოტაჟის, გაფიცვის, ამბოხების, ომის, სამოქალაქო ომის და სხვა რისკების მიმართ.

(ბ) თითოეული მესაკუთრე იღებს ვალდებულებას:

(i) არ შეცვალოს, შეწყვიტოს, გააუქმოს ან განახორციელოს არსებითი ცვლილება ნებისმიერ სადაზღვევო პოლისში;

(ii) უზრუნველყოს, რომ თითოეულ მზღვეველს დროულად ეცნობოს მოგირავნეებს სასარგებლოდ გირავნობას დაქვემდებარებულ აქტივებზე გირავნობის წარმოშობის თაობაზე;

(iii) მიაწოდოს მოგირავნეებს სადაზღვევო პოლისების დედნები მესაკუთრეზე ნებისმიერი სადაზღვევო პოლისის გაცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

(iv) ნებისმიერი სადაზღვევო პოლისის მოქმედების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღისა მიაწოდოს მოგირავნეებს მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს შესაბამისი პოლისის განახლებას და ნებისმიერ ცვლილებას პოლისის გაცემის თარიღიდან ან ბოლო განახლებიდან; და

(v) დროულად მიაწოდოს მოგირავნეებს თითოეულ სადაზღვევო პოლისთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია ან დოკუმენტი რომელსაც დროდადრო მოითხოვენ მოგირავნეები.

პუნქტი 4.03. შეფასება

თითოეულმა მესაკუთრემ უნდა მიაწოდოს მოგირავნებს გირავნობას დაქვემდებარებული აქტივების შეფასების აქტი, რომელიც მომზადებულია დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ. ამასთან, „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ შეუძლია ნებისმიერ 12 (თორმეტი) თვიან პერიოდში არაუმეტეს ერთხელ მოითხოვოს გირავნობას დაქვემდებარებული აქტივების განახლებული შეფასების წარმოდგენა. ამ შემთხვევაში, თითოეული მესაკუთრე „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ წარუდგენს უახლეს შეფასებას შედგენილს არაუადრეს 12 (თორმეტი) თვისა „ობლიგაციონერების წარმომადგენლის“ მოთხოვნის თარიღამდე, ხოლო თუ ამ პერიოდისთვის ამგვარი შეფასება არ არსებობს, უზრუნველყოფს ახალი შეფასების მომზადებას და წარუდგენას „ობლიგაციონერების წარმომადგენლისთვის“ მისი მოთხოვნის თარიღიდან არაუგვიანეს 1 (ერთ) თვეში,

პუნქტი 4.04. მოგირავნების უფლებების შენარჩუნება

(ა) მოგირავნების წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, მესაკუთრეებს არ აქვთ უფლება:

- (i) მთლიანად ან ნაწილობრივ გაყონ, გაყიდონ, გადასცენ, გაასხვისონ ან სხვაგვარად განკარგონ გირავნობას დაქვემდებარებული აქტივები, გარდა პროსპექტით გათვალისწინებულისა;
- (ii) განახორციელონ ან დაუშვან გირავნობას დაქვემდებარებულ აქტივებზე ან მათ ნებისმიერ ნაწილზე რაიმე დატვირთვის წარმოშობა, გარდა პროსპექტით გათვალისწინებულისა;
- (iii) განახორციელონ ან დაუშვან რაიმე ქმედების განხორციელება, რამაც გონივრული შეფასებით შესაძლოა მოახდინოს არსებითი უარყოფითი გავლენა.

(ბ) მესაკუთრეები ვალდებული არიან, ემიტენტის ხარჯით, განახორციელონ ნებისმიერი და ყველა ქმედება ან/და ხელი მოაწერონ, გააფორმონ და მიაწოდონ ნებისმიერი და ყველა დოკუმენტი, აქტი, ხელშეკრულება ან საბუთი, რომელიც მოგირავნებმა შესაძლოა, გონივრულ ფარგლებში, დროდადრო მოითხოვონ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოგირავნების უფლებების დაცვის, შენარჩუნების, გამოყენებისა და აღსრულების მიზნით.

(გ) თითოეული მესაკუთრე ვალდებულია არაგონივრული დაყოვნების გარეშე წერილობით აცნობოს მოგირავნებს ნებისმიერი შემთხვევის ან გარემოების თაობაზე, რამაც გონივრული შეფასებით შესაძლოა მოახდინოს არსებითი უარყოფითი გავლენა.

მუხლი 5. აღსრულება

პუნქტი 5.01. აღსრულების უფლება

მოგირავნები უფლებამოსილი არიან დაიწყონ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სააღსრულებო პროცედურები ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული უზრუნველყოფილი ვალდებულებების მოგირავნე(ებ)ის მიერ აღსრულება შესაძლებელია მხოლოდ ობლიგაციების

მგლობელთა წარმომადგენლის მეშვეობით და ემისიის პროსპექტის დებულებების შესაბამისად, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, რომლებიც თავად ემისიის პროსპექტშია განსაზღვრული.

პუნქტი 5.02. აღსრულება

(ა) 5.01 პუნქტის გათვალისწინებით, მოგირავნეები უფლებამოსილი არიან:

(i) გაყიდონ, განახორციელონ გადაცემა, გაასხვისონ ან სხვაგვარად განკარგონ გირავნობას დაქვემდებარებული აქტივები ან მისი ნებისმიერი ნაწილი, იმ პირობების საფუძველზე, რომელსაც მოგირავნეები საკუთარი ერთპიროვნული დისკრეციის საფუძველზე მიიჩნევენ კომერციული თვალსაზრისით მიზანშეწონილად და **იმ პირზე ან პირებზე, რომელთა საკუთრებაში „გირავნობის საგნის“ გადაცემა დასაშვებია „ქვეყნის“ კანონმდებლობის შესაბამისად;** ან/და

(ii) თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, გირავნობას დაქვემდებარებული აქტივები ან მათი ნებისმიერი ნაწილი მიიღონ საკუთრებაში ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად და **იმ პირობით, რომ „მოგირავნის“ საკუთრებაში „გირავნობის საგნის“ გადაცემა დასაშვებია „ქვეყნის“ კანონმდებლობის შესაბამისად.**

(iii) მოგირავნეები ასევე უფლებამოსილნი არიან, ქონების რეალიზაცია განახორციელონ აუქციონის მეშვეობით საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გირავნობის საგნის რეალიზაციისთვის დადგენილი წესის ანალოგიურად და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სპეციალური წესების შესაბამისად.

(ბ) 5.01 პუნქტის გათვალისწინებით და ზემოაღნიშნულის შეზღუდვის გარეშე, მოგირავნეებს შეუძლიათ დააორგანიზონ გირავნობას დაქვემდებარებული აქტივების იძულებითი რეალიზაცია საჯარო ან კერძო აუქციონის გზით ან განახორციელონ მოგირავნეების ნებისმიერი უფლების აღსრულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნოტარიუსის მიერ გაცემული სანოტარო ფურცლის საფუძველზე ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, ან განახორციელონ ნებისმიერი სხვა უფლება და მიმართონ მოგირავნეებისთვის ქვეყნის კანონმდებლობით მინიჭებული სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებებს მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ თუ დადგა მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადა და ემიტენტი ნებაყოფლობით არ ასრულებს მოგირავნეების მოთხოვნას, მოგირავნე უფლებამოსილია, მოთხოვნის დაკმაყოფილება უზრუნველყოს ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით. ამ შემთხვევაში, მხარეები ადასტურებენ, რომ ნოტარიუსისაგან მიიღეს ჯეროვანი განმარტება ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის სამართლებრივი ინსტიტუტის (მისი არსისა და ძირითადი პრინციპების) შესახებ და მათთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი შეცვლის სასამართლოს სააღსრულებო ფურცელს; შესაბამისად, მოგირავნეებს უფლება ექნებათ სასამართლოსადმი მიმართვისა და სასამართლო საქმისწარმოების გარეშე მიმართონ ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით, მიიღონ ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი და აღსრულების პროცესი დაიწყოთ ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. ამასთანავე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელი გაიცემა ემიტენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტების გამოთხოვის გარეშე, ხოლო სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრება არ აჩერებს სააღსრულებო ფურცლის მოქმედებას.

პუნქტი 5.03. დამატებითი სამართლებრივი საშუალებები

(ა) ზემოაღნიშნული პუნქტის 5.02-ით განსაზღვრული მოგირავნეების რომელიმე უფლების შელახვის გარეშე, ემისიის პროსპექტის დებულებების შესაბამისად, მოგირავნის შესაბამისი მოთხოვნის მიღებისთანავე, მესაკუთრემ უნდა:

(i) მოიპოვოს ყველა საჭირო ავტორიზაცია, ასეთის საჭიროების შემთხვევაში და მოახდინოს გირავნობას დაქვემდებარებული აქტივების ან მათი რომელიმე ნაწილის მოგირავნის ან მოგირავნეების მიერ

დანიშნული ნებისმიერი სხვა პირის საკუთრებაში დარეგისტრირება ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში და უზრუნველყოს, რომ მოგირავნეები ან მოგირავნის მიერ დანიშნული ნებისმიერი კანონმდებლობით დაშვებული სხვა პირი შეიძენს სრული საკუთრების უფლებას გირავნობას დაქვემდებარებულ აქტივებზე; და

(ii) განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, ხელი მოაწეროს, შეასრულოს, გადასცეს და წარადგინოს ყველა დოკუმენტი, ხელშეკრულება, მოწმობა, განცხადება, აქტი, მინდობილობა და სხვა დოკუმენტები და, ზოგადად, ითანამშრომლოს მოგირავნეებთან რათა ხელი შეუწყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოგირავნის უფლებების დროულად და ეფექტურად განხორციელებასა და აღსრულებას.

პუნქტი 5.04. ამონაგების გამოყენება

(ა) მხარეები აცნობიერებენ და თანხმობას აცხადებენ, რომ ნებისმიერი თანხა ან ამონაგები, რომელსაც მიიღებს თითოეული მოგირავნე აღსრულების ქმედების შედეგად გაიყოფა მოგირავნეებს შორის ემიტენტის მიმართ მათი მოთხოვნის პროპორციულად. მხარეები აგრეთვე აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოგირავნეები გადაწყვეტენ გირავნობის აღსრულებას გირავნობას დაქვემდებარებული აქტივების მოგირავნეების საკუთრებაში გადაცემის გზით 5.02(ა)(ii) პუნქტის შესაბამისად, თითოეულ მოგირავნეს უფლებამოსილება ექნება ამგვარი აქტივების იმ ნაწილზე, რომელიც პროპორციულად შეესაბამება მის მიმართ შეუსრულებელი უზრუნველყოფილი ვალდებულებების და მის მიერ გაწეული ხარჯების ჯამურ ოდენობას, იმ პირობით, რომ თუ გირავნობას დაქვემდებარებული აქტივების მოგირავნეების მიერ დანიშნული დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ განსაზღვრული ქონებრივი ღირებულება, რომელშიც გაითვალისწინება სალიკვიდაციო დანაკარგები, არ არის საკმარისი უზრუნველყოფილი ვალდებულებებისა და ხარჯების სრულად დაფარვისთვის, თითოეულ მოგირავნეს უფლებამოსილება ექნება ამგვარი აქტივების იმ ნაწილზე, რომელიც პროპორციულად შეესაბამება თითოეული მოგირავნეს მიმართ გადასახდელ უზრუნველყოფილი ვალდებულებებისა და ხარჯების წილს. მოგირავნეების მიერ ამგვარი პროპორციის წერილობით განსაზღვრა იქნება საბოლოო და წარმოადგენს ნებისმიერი პირისთვის, მესაკუთრის, ნოტარიუსებისა და შეზღუდვების რეესტრის ჩათვლით, საკმარის მტკიცებულებას და მხოლოდ დოკუმენტს.

ბ) მხარეები თანხმდებიან, რომ უზრუნველყოფილი ვალდებულებები და ხარჯები წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად სრულად დაფარულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

(i) გირავნობას დაქვემდებარებული აქტივების საერთო ღირებულება, რომელსაც განსაზღვრავს მოგირავნეების მიერ დანიშნული დამოუკიდებელი შემფასებელი, და რომელშიც გაითვალისწინება სალიკვიდაციო დანაკარგები (შემდგომში „ქონებრივი ღირებულება“), უტოლდება ან აღემატება უზრუნველყოფილ ვალდებულებებს, და ხარჯების საერთო თანხას გირავნობას დაქვემდებარებული აქტივების მოგირავნეებისთვის გადაცემის თარიღისათვის (შემდგომში „გადაცემის თარიღი“), როდესაც გირავნობას დაქვემდებარებული აქტივები მოგირავნეებს გადაეცემა 5.02(ა)(ii) პუნქტის შესაბამისად. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, იმ შემთხვევაში, თუ ქონებრივი ღირებულება დადგენილია უზრუნველყოფილი ვალდებულების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, გამოყენებულ იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსი შეფასების თარიღზე. ასევე, ამგვარი შეფასების ხარჯები დაეკისრება და დაუყოვნებლივ იქნება გადახდილი მხოლოდ და მხოლოდ ემიტენტის მიერ; ან

(ii) გირავნობას დაქვემდებარებული აქტივების გაყიდვიდან, გადაცემიდან ან განკარგვიდან მოგირავნეების მიერ ამონაგები წმინდა თანხა (შემდგომში „ამონაგები თანხა“), უტოლდება ან აღემატება უზრუნველყოფილი ვალდებულებებისა და ხარჯების საერთო თანხას, როდესაც გირავნობას დაქვემდებარებულ აქტივებზე აღსრულება ხორციელდება ნებისმიერი სხვა გზით, რომელიც არ არის გათვალისწინებული 5.02(ა)(ii) პუნქტით. ამონაგები თანხა, რომელიც იქნება ამოღებული უზრუნველყოფილი ვალდებულების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში ექვემდებარება კონვერტაციას მოგირავნეებზე განაწილების წინ იმ კომერციულ შესყიდვის კურსად, რომელიც არსებობს საქართველოში მოქმედ მოწინავე კომერციულ ბანკებში კონვერტაციის თარიღზე.

(გ) მოგირავნეები მესაკუთრეებს ქონებრივი ღირებულებას ან ამონაგები თანხის ოდენობას, შესაბამისობის შემთხვევებში აცნობებენ არაგონივრული დაყოვნების გარეშე, შესაბამისი შეტყობინების მეშვეობით.

(დ) მოხსნის თარიღამდე მესაკუთრეებს არანაირ შემთხვევაში გააჩნიათ უფლება, და წინამდებარით უპირობოდ და შეუქცევადად აცხადებენ უარს ნებისმიერ უფლებაზე, მოითხოვონ მოგირავნეებისგან ქონებრივი ღირებულებასა და უზრუნველყოფილი ვალდებულებებისა და ხარჯების ჯამურ თანხას შორის არსებული რაიმე სხვაობის ანაზღაურება, იმ შემთხვევაში, როდესაც ქონებრივი ღირებულება აღემატება უზრუნველყოფილი ვალდებულებებისა და ხარჯების ჯამურ თანხას.

(ე) თუ ამონაგები თანხა ან ქონებრივი ღირებულება, შესაბამისობისადაც, ნაკლებია უზრუნველყოფილი ვალდებულებებისა და ხარჯების ჯამურ თანხაზე, ემიტენტს ან/და მესაკუთრეებს რჩებათ სოლიდარული ვალდებულება თითოეული მოგირავნეს მიმართ სრულად აუნაზღაუროს ყოველ მათგანს უზრუნველყოფილი ვალდებულებებისა და ხარჯების ნებისმიერი დაუფარავი ოდენობა.

მუხლი 6. სხვადასხვა

პუნქტი 6.01. ხელშეკრულების ვადა

(ა) წინამდებარე ხელშეკრულება სრულ ძალას ინარჩუნებს მანამ, სანამ (ა) არ მოხდება ობლიგაციების სრულად, ემისიის პროსპექტის შესაბამისად გამოსყიდვა ან (ბ) არ განხორციელდება უზრუნველყოფილი ვალდებულებებისა და ხარჯების უპირობოდ და შეუქცევადად სრულად დაფარვა (შემდგომში თითოეული „**მოხსნის თარიღი**“). უზრუნველყოფილი ვალდებულებებისა და ხარჯების დაფარვისას, მოგირავნეები განახორციელებენ ყველა ქმედებას და ითანამშრომლებენ მესაკუთრეებთან, რათა ემიტენტის ხარჯით უზრუნველყოფილი იყოს გირავნობის შეწყვეტის რეგისტრაცია ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

(ბ) უზრუნველყოფილი ვალდებულებებისა და ხარჯების მხოლოდ ერთ-ერთი მოგირავნეს მიმართ სრულად დაფარვის შემთხვევაში, ამგვარმა მოგირავნემ და მესაკუთრეებმა უნდა განახორციელონ ყველა ქმედება და ხელი მოაწერონ ნებისმიერ დოკუმენტს, ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც საჭირო იქნება გირავნობას დაქვემდებარებულ აქტივებზე შესაბამისი მოგირავნეს სასარგებლოდ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული გირავნობისაგან გათავისუფლებისთვის.

პუნქტი 6.02. მთლიანი ხელშეკრულება; ცვლილება და უფლებაზე უარის თქმა, განცალკევადობა

(ა) წინამდებარე ხელშეკრულება და მასში მითითებული დოკუმენტები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით მხარეთა სრულ ვალდებულებას, რომელიც უპირატესია და ანაცვლებს ამ გარიგებასთან დაკავშირებით ადრე გამოხატულ ნებისმიერ განზრახვას ან შეთანხმებას ამ ტრანზაქციასთან დაკავშირებით. მოგირავნეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერ პირობაზე უარის თქმა ან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მოგირავნეების მიერ თანხმობის გაცემა (წინამდებარე 6.02 პუნქტის ჩათვლით) უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და მას ხელს უნდა აწერდნენ მოგირავნეები. წინამდებარე ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება მხოლოდ მაშინ იქნება ნამდვილი, თუ იგი ხელმოწერილია მხარეთა მიერ, დამოწმებულია სანოტარო წესით და რეგისტრირებულია ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

(ბ) თუ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულება გახდება ძალადაკარგული ან შეუსრულებადი, ასეთი ძალადაკარგული ან შეუსრულებადი დებულება არავითარ გავლენას არ მოახდენს გირავნობისა და/ან ხელშეკრულების სამართლებრივ ძალაზე ან მის რომელიმე სხვა დებულებაზე.

პუნქტი 6.03. შეტყობინებები

(ა) წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად ან მასთან დაკავშირებით გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება, მოთხოვნა ან კორესპონდენცია უნდა განხორციელდეს წერილობით. ნებისმიერი ასეთი შეტყობინება, მოთხოვნა ან სხვა კომუნიკაცია შეიძლება გადაეცეს მხარეს ხელით, საჰაერო ფოსტით, ელექტრონული ფოსტით (იმ პირობით, რომ ელ. ფოსტის მიწოდება დამოწმებულია შესაბამისი ელექტრონული საშუალებებით) ან დადგენილი საკურიერო სერვისით, ასეთი მხარის იმ მისამართზე ან ელექტრონულ ფოსტაზე, რომელიც მითითებულია ქვემოთ ან სხვა ისეთ მისამართზე ან ელექტრონულ ფოსტაზე, რომელსაც ასეთი მხარე შეატყობინებს შეტყობინების გამგზავნ მხარეს და ძალაში იქნება მიღებისთანავე.

1-ელი მესაკუთრისთვის:

მისამართი: [●]

E-mail: [●]

მე-2 მესაკუთრისთვის:

მისამართი: [●]

E-mail: [●]

მე-3 მესაკუთრისთვის:

მისამართი: [●]

E-mail: [●]

ემიტენტისთვის:

მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, სულხან ცინცაძის ქუჩა, N 24ა

E-mail: nikatsiklauri@ghg.com.ge

1-ელი მოგირავნისთვის:

მისამართი: [●]

E-mail: [●]

მე-2 მოგირავნესთვის:

მისამართი: [●]

E-mail: [●]

მე-3 მოგირავნესთვის:

მისამართი: [●]

E-mail: [●]

მე-4 მოგირავნესთვის:

მისამართი: [●]

E-mail: [●]

(ბ) ყველა დოკუმენტი, რაც იყო მიწოდებული და შეტყობინება რაც გაიგზავნება წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, უნდა შესრულდეს ინგლისურ ენაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც მოგირავნეებისთვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად წარსადგენი ორიგინალი დოკუმენტი ან გასაგზავნი შეტყობინება შედგენილია ინგლისური ენის გარდა სხვა ენაზე, ასეთ დოკუმენტს ან შეტყობინებას თან უნდა დაერთოს დამოწმებული ინგლისური თარგმანი. თითოეული მოგირავნე უფლებამოსილია მოითხოვოს ემიტენტის ხარჯზე იმ ნებისმიერი დოკუმენტის ან შეტყობინების ინგლისურად თარგმნა, რომელიც მას სხვა ენაზე მიაწოდეს. მოგირავნეები უფლებამოსილი არიან ჩათვალონ ნებისმიერი ასეთი ინგლისური თარგმანი უპირატესი ძალის მქონე მოგირავნეებსა და მესაკუთრეებს შორის ურთიერთობაში.

პუნქტი 6.04. ენა

წინამდებარე ხელშეკრულება შესრულდება ინგლისურ და ქართულ ენებზე, რომელთაგან თითოეულს ექნება თანაბარი ძალა. წინამდებარე ხელშეკრულების განმარტებასთან დაკავშირებით შეუთანხმებლობის ან დავის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ქართულ ვერსიას.

პუნქტი 6.05. უფლებები, სამართლებრივი საშუალებები და უფლებებზე უარის თქმა

(ა) მესაკუთრეების მიერ არასწორი განცხადების გაკეთებასთან ან ხელშეკრულების დარღვევასთან დაკავშირებით მოგირავნეების უფლებებსა და სამართლებრივ საშუალებებზე უარყოფით გავლენას არ მოახდენს მოგირავნეების მიერ ან მათი სახელით მესაკუთრეების საქმეების გამოძიება, წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმება ან შესრულება ან ნებისმიერი სხვა ქმედება ან ნებისმიერი სხვა რამ, რაც შეიძლება განხორციელდეს მოგირავნეების მიერ ან მათი სახელით წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და რამაც, წინამდებარე პუნქტის გარდა, შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ამგვარ უფლებებსა და სამართლებრივ საშუალებებზე.

(ბ) მოგირავნეების რაიმე ქმედება ან წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი უფლების, უფლებამოსილების ან სამართლებრივი საშუალების განუხორციელებლობა ან განხორციელების დაყოვნება უარყოფით გავლენას არ მოახდენს ნებისმიერ ასეთ უფლებაზე,

უფლებამოსილებაზე ან სამართლებრივ საშუალებაზე, არ განიმარტება ასეთ უფლებაზე, უფლებამოსილებაზე ან სამართლებრივ საშუალებაზე უარის თქმად ან აღნიშნულზე თანხმობის განცხადებად. ნებისმიერი ასეთი უფლების, უფლებამოსილების ან სამართლებრივი საშუალების ერთჯერადი ან ნაწილობრივი განხორციელება არ გამოირიცხავს ასეთი უფლების, უფლებამოსილების ან სამართლებრივი საშუალების ნებისმიერ სხვა ან დამატებით გამოყენებას, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა უფლების, უფლებამოსილების ან სამართლებრივი საშუალების განხორციელებას. მოგირავნეების რაიმე ქმედება ან თანხმობა ნებისმიერ ასეთ დარღვევასთან დაკავშირებით გავლენას არ მოახდენს ან არ შეამცირებს მოგირავნეების რაიმე უფლებას, უფლებამოსილებას ან სამართლებრივ საშუალებას ნებისმიერ სხვა დარღვევასთან მიმართებით.

(გ) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და სამართლებრივი საშუალებები არის კუმულატიური და არ გამოირიცხავს სხვა უფლებებს ან სამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც მინიჭებულია მარეგულირებელი კანონმდებლობით ან სხვაგვარად.

პუნქტი 6.06. მარეგულირებელი კანონმდებლობა

წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

პუნქტი 6.07. არბიტრაჟი

(ა) ნებისმიერი დავა, განხილვა ან პრეტენზია, რომელიც გამომდინარეობს ან დაკავშირებულია მოცემულ ხელშეკრულებასთან, მათ შორის, დავა ხელშეკრულების არსებობის, ნამდვილობის, ინტერპრეტაციის, შესრულების, დარღვევის ან შეწყვეტის შესახებ, ასევე იმ არა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ, რომლებიც გამომდინარეობს ან დაკავშირებულია ხელშეკრულებასთან, გადაეცემა და საბოლოოდ გადაწყდება ლონდონის საერთაშორისო არბიტრაჟის სასამართლოს (London Court of International Arbitration – “LCIA”) წესების შესაბამისად. საარბიტრაჟო განხილვის სამართლებრივ ადგილად განისაზღვრება ლონდონი. საარბიტრაჟო წარმოების ენა იქნება ინგლისური.

მოცემული მუხლი 6.07 (საარბიტრაჟო შეთანხმება) რეგულირდება და განიმარტება ინგლისისა და უელსის კანონმდებლობის შესაბამისად.

(ბ) მხარეები უარს ამბობენ 1996 წლის არბიტრაჟის შესახებ აქტის, ან სხვა სამართლებრივი აქტის საფუძველზე არსებითი (მატერიალური) სამართლებრივი საკითხის ინგლისის სასამართლოების მიერ განსაზღვრასა და ნებისმიერი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ინგლისის სასამართლოებში გასაჩივრებაზე.

(გ) მიუხედავად LCIA-ს, ან 1996 წლის არბიტრაჟის შესახებ აქტის რაიმე საწინააღმდეგო დებულებისა, მხარეები (AIIB-ის გარდა) თანხმდებიან, რომ ისინი არ მიმართავენ არც საარბიტრაჟო ტრიბუნალს, არც საგანგებო არბიტრს და არც რომელიმე სასამართლოს AIIB-ის წინააღმდეგ დროებითი ან შუალედური ღონისძიების, საგანგებო დაცვის მოთხოვნით (იქნება ეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღებამდე, თუ მას შემდგომ) და არც საარბიტრაჟო ტრიბუნალი და არც საგანგებო არბიტრი არ იქნება უფლებამოსილი რომელიმე მხარის (AIIB-ის გარდა) მოთხოვნის საფუძველზე, AIIB-ის წინააღმდეგ მიანიჭოს მას ასეთი სახის დაცვა.

(დ) „ემიტენტი“ და მესაკუთრეები გამოუთხოვდად თანხმდებიან ინგლისში თავიანთ წარმომადგენლად Georgia Capital plc-ის დანიშვნაზე, რათა მან უზრუნველყოს შეტყობინებების

ჩაბარება ინგლისში წარმოებულ ნებისმიერ საქმის წარმოებაში. იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი მიზეზით, დანიშნული წარმომადგენელი, შეტყობინებების ჩაბარების ნაწილში, შეწყვეტს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, „ემიტენტი“ და მესაკუთრეები დანიშნავენ ახალ წარმომადგენელს ინგლისში შესაბამისი შეტყობინებების ჩასაბარებლად და 30 დღის ვადაში მიაწვდიან „ობლიგაციონერების წარმომადგენელს“ წარმომადგენლად დანიშვნის თაობაზე ახალი წარმომადგენლის თანხმობის წერილს.

პუნქტი 6.08. მესაკუთრის მიერ იმუნიტეტის გაუქმება და მოგირავნეთა იმუნიტეტი

(ა) მესაკუთრე აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ ეს ხელშეკრულება და მესაკუთრის მიერ უზრუნველყოფილი ვალდებულებებისა და ხარჯების უზრუნველყოფა არის კომერციული და არა საჯარო ან სამთავრობო აქტი და რომ მესაკუთრეს არ აქვს უფლება მოითხოვოს იმუნიტეტი იურიდიული წარმოებისგან საკუთარი თავის ან მის რომელიმე გირავნობას დაქვემდებარებული აქტივის მიმართ სუვერენიტეტის ან სხვაგვარად ნებისმიერი კანონის ან ნებისმიერი იურისდიქციის საფუძველზე, სადაც შესაძლებელია საჩივრის აღძვრა წინამდებარე ხელშეკრულებით ან მასთან დაკავშირებული რომელიმე ვალდებულების აღსრულების მიზნით. რამდენადაც მესაკუთრეს ან რომელიმე გირავნობას დაქვემდებარებულ აქტივს აქვს ან შემდგომში შეუძლია შეიძინოს იმუნიტეტის ნებისმიერი უფლება სასამართლო პროცესისგან, მოთხოვნათა ჩათვლისგან, წინასწარი უზრუნველყოფის ღონისძიებისგან, სხვა გადაწყვეტილების აღსრულებისგან სუვერენიტეტის საფუძველზე ან სხვაგვარად, მესაკუთრე შეუქცევად უარს ამბობს იმუნიტეტის ამგვარ უფლებებზე წინამდებარე ხელშეკრულებით ან მასთან დაკავშირებული ვალდებულებების მიმართ.

(ბ) მხარეები აღიარებენ და თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთი არ წარმოადგენს ან გულისხმობს რაიმე პრივილეგიის, იმუნიტეტის ან გათავისუფლების მიმართ უარის თქმას, შეწყვეტას ან ცვლილებას, რომელიც მინიჭებულია რომელიმე მხარის სადამფუძნებლო შეთანხმებით, სხვა საერთაშორისო კონვენციებით და დოკუმენტებით ან მოქმედი სამართლით, როდესაც შესაბამისი ობლიგაციონერი წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 21 თებერვლის №198 დადგენილებით დამტკიცებული „საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების სიით“ განსაზღვრულ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტს და საერთაშორისო სამართლის მიხედვით გააჩნია სპეციალური სტატუსი (“IFI”).

(გ) ამ „ხელშეკრულებაში“ არაფერი შეიძლება იქნას განმარტებული ისე, როგორც IFI-ების (მათ შორის და არა მხოლოდ, AIIB-ის) რაიმე იმუნიტეტთან, პრივილეგიებთან თუ გამონაკლისებთან დაკავშირებულ უფლებებზე უარის თქმა, ან ცვლილება, რომლებიც გათვალისწინებულია შესაბამისი IFI-ების სადამფუძნებლო დოკუმენტებში, მათ შორის და არა მხოლოდ, AIIB-ის წესდებაში, სათავო ოფისის შესახებ შეთანხმებებში, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და AIIB-ს შორის გაფორმებული სათავო ოფისის შეთანხმებით, საერთაშორისო კონვენციით ან ნებისმიერი სხვა მოქმედი კანონმდებლობით.

პუნქტი 6.09. სამართალმემკვიდრეები და უფლებამონაცვლეები

(ა) წინამდებარე ხელშეკრულება ბოჭავს, და შესაბამისი უფლებები ვრცელდება, წინამდებარე ხელშეკრულების მხარეთა სამართალმემკვიდრეებზე და უფლებამონაცვლეებზე.

(ბ) თითოეული მოგირავნე უფლებამოსილია, სრულად ან ნაწილობრივ დათმოს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი საკუთარი უფლებები თავისუფლად, ნებისმიერი მესაკუთრის ან სხვა მოგირავნეების რაიმე წინასწარი ან დამატებითი თანხმობის გარეშე. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერნი ადასტურებენ და გამოუხმობადად აღიარებენ თითოეული მოგირავნეს აღნიშნულ უფლებას. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნებისთვის, მხარეები თანხმდებიან, რომ ამგვარი უფლების დათმობა განხორციელდება „ბ“ დანართში წარმოდგენილი გადაცემისა და მიერთების აქტის ნოტარიალურად დამოწმებისა და შეზღუდვების რეესტრში სათანადო რეგისტრაციის საფუძველზე. იმ ნაკლებად სავარაუდო შემთხვევის მიზნებისათვის, თუ შეზღუდვების რეესტრმა მოითხოვა წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ან/და ყველა მხარის თანხმობა მოგირავნეთა წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში არსებული უფლებების სრული ან ნაწილობრივი გადაცემის რეგისტრაციისათვის, გამოყენებული იქნება შესაბამისი გამოუხმობადი მინდობილობები, გაცემული იმ მხარეთა მიერ, რომელთა მიმართ დაფიქსირებულია თანხმობის გამოხატვის მოთხოვნა. ასეთი მინდობილობა გაიცემა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისას, ასევე მის ფარგლებში უფლებათა გადაცემის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, საჭიროების მიხედვით.

(გ) მესაკუთრეს არ აქვს უფლება დათმოს ან გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისი ნებისმიერი უფლება ან მოვალეობა მოგირავნეების წინასწარი თანხმობის გარეშე.

პუნქტი 6.10. ეგზემპლარები და ხელშეკრულების გაფორმება

(ა) წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია რამდენიმე ორიგინალ ორენოვან ეგზემპლარად. წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობით სარგებლობს ხელშეკრულების ქართულენოვანი ვერსია. წინამდებარე ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს ნოტარიუსის მიერ და დარეგისტრირდეს ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

(ბ) წინამდებარე ხელშეკრულებასა და პროსპექტს (მათ ჩანაწერებს) შორის ნებისმიერი წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობით სარგებლობს პროსპექტის ჩანაწერები.

(გ) იმ შემთხვევაში, თუ მხარე ხელშეკრულებას ხელს აწერს უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, შესაბამისი უფლებამოსილება უნდა დასტურდებოდეს სათანადოდ გაცემული და დამოწმებული უფლებამოსილებას დამდგენი დოკუმენტით (ამონაწერი, წესდება და ა.შ.) და/ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებულ მინდობილობით („მინდობილობა“), რომლის სანოტარო აქტი ადასტურებს არა მხოლოდ მისი გამცემის ვინაობას, არამედ მინდობილობის გაცემის უფლებამოსილებასაც. თუ მინდობილობა გაცემულია საქართველოს იურისდიქციის ფარგლებს გარეთ, ის უნდა დამოწმდეს აპოსტილით (იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ქვეყანა არის ჰააგის კონვენციის მონაწილე სახელმწიფო) ან ლეგალიზებული უნდა იქნეს საქართველოს შესაბამისი ქვეყნის საკონსულოს მიერ.

ზემოაღნიშნულის დასტურად, მხარეებმა, რომლებიც მოქმედებენ თავიანთი სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით, ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას ზემოთ პირველად მითითებულ თარიღზე.

მესაკუთრე 1:

[•]

მესაკუთრე 3:

[•]

ემიტენტი:

ირაკლი გოგია

მოგირავენე 1:

[•]

მოგირავენე 3:

[•]

მესაკუთრე 2:

[•]

მოგირავენე 2:

[•]

მოგირავენე 4:

[•]

„ა“ დანართი

მესაკუთრეების საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებები

მესაკუთრე 1- [●] 1.	მესაკუთრე 2- [●] 2.
მესაკუთრე 3- [●] 3.	

„ბ“ დანართი

მიერთების შეთანხმება

წინამდებარე ხელშეკრულება („გადაცემის ხელშეკრულება“ ან „აქტი“) დადებულია [●] შემდეგი მხარეების მიერ და შორის:

[●] (*შესაყვანია საიდენტიფიკაციო დეტალები*) (შემდგომში “**უფლების დამთმობი**”); და

[●] (*შესაყვანია საიდენტიფიკაციო დეტალები*) (შემდგომში “**უფლების მიმღები**”)

(„უფლების დამთმობი“ და „უფლების მიმღები“ შემდგომში ერთობლივად მოიხსენიებიან, როგორც „**მხარეები**“ და ცალ-ცალკე - როგორც „**მხარე**“).

ყველა ტერმინი, რომელიც სხვაგვარად არ არის განსაზღვრული აქვე, განიმარტება პროსპექტში და გირავნობის ხელშეკრულებაში (როგორც ეს განმარტებული ქვემოთ) მითითებული განსაზღვრებების შესაბამისად.

პრეამბულა:

ვინაიდან, უფლების დამთმობმა შეისყიდა [●] ლარის ღირებულების უზრუნველყოფილი ობილიგაცია, რომელიც გამოშვებულ იქნა სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ მიერ 2025 წლის [●] პროსპექტის (შემდგომში „**პროსპექტი**“) შესაბამისად და გახდა 2025 წლის [●] გირავნობის ხელშეკრულების (შემდგომში „**გირავნობის ხელშეკრულება**“) მხარე;

ვინაიდან, უფლების დამთმობს სურს დათმოს და უფლების მიმღებს სურს მიიღოს [●] ოდენობის ძირითადი ღირებულების [●] ობლიგაციებთან დაკავშირებული უფლებები და ვალდებულებები და მიიღოს შესაბამისი გირავნობის ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებები ამ უკანასკნელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

ამრიგად, მხარეებს სურთ შეიბოჭონ და შესაბამისად თანხმდებიან შემდეგზე:

1. უფლების მიმღები თანხმდება და უფლების დამთმობი უთმობს ყველა საკუთარ უფლებას, ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას პროსპექტის (ობლიგაციების პირობების) და გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად;
2. უფლების მიმღები აცხადებს თანხმობას, რომ ის შეიბოჭება პროსპექტის, გირავნობის ხელშეკრულების პირობებითა და უფლების დამთმობის შესაბამისი ვალდებულებებით, ყველანაირი ცვლილების შეტანის გარეშე;
3. მხარეები აცხადებენ, რომ ობლიგაციებიდან გამომდინარე და მათთან დაკავშირებული ყველანაირი თანხა წინამდებარე აქტის დადების დღიდან უნდა გადაეცეს უფლების მიმღებს. უფლების მიმღების ამგვარი უფლებამოსილება ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც ცენტრალური დეპოზიტარი განახორციელებს გადახდას უფლების დამთმობის მიმართ იმ საფუძვლით, რომ მხარეებმა დროულად ვერ შეატყობინეს ემიტენტსა და ცენტრალურ დეპოზიტარს დათმობის ფაქტის შესახებ;

4. წინამდებარე გადაცემის ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
5. წინამდებარე გადაცემის ხელშეკრულება ექვემდებარება შეზღუდვების რეესტრში რეგისტრაციას უფლების მიმღების გირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით, უფლების მიმღების, როგორც უფლების გადამცემის სამართალმემკვიდრედ რეგისტრაციის მიზნებისთვის. მიუხედავად აღნიშნულისა, უფლების მიმღებმა და უფლების დამთმობმა ამის თაობაზე ერთობლივად და არაგონივრული დაყოვნების გარეშე უნდა აცნობონ ემიტენტს, ცენტრალურ დეპოზიტარსა და შესაბამის ანგარიშის მწარმოებელს;
6. თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი წინამდებარე აქტში, გირავნობის ხელშეკრულების და ობლიგაციების ყველა პირობა შეინარჩუნებს მოქმედებას უფლების მიმღების მიმართ და ეს უკანასკნელი შებოჭილი იქნება აღნიშნული უფლება-მოვალეობებით ყველანაირი ცვლილებისა და დამატების გარეშე;
7. ვადასტურებთ, რომ უფლების დამთმობი და უფლების მიმღები აცნობიერებენ და თანხმობას აცხადებენ წინამდებარე აქტში მითითებულ უფლება-ვალდებულებებზე, რის დასტურადაც ხელს ვაწერთ წინამდებარეს.

<p>„უფლების დამთმობის“ სახელით:</p> <p>ხელმოწერა: _____</p> <p>სახელი, გვარი:</p> <p>პოზიცია:</p> <p>თარიღი:</p>	<p>„უფლების მიმღების“ სახელით:</p> <p>ხელმოწერა: _____</p> <p>სახელი, გვარი:</p> <p>პოზიცია:</p> <p>თარიღი:</p>
--	---

მესაკუთრე 1:

[•]

მესაკუთრე 3:

[•]

ემიტენტი:

ირაკლი გოგია

მოგირავნე 1:

[•]

მოგირავნე 3:

[•]

მესაკუთრე 2:

[•]

მოგირავნე 2:

[•]

მოგირავნე 4:

[•]